№ 122 ივნისი 13, ხუთშაბათი 1891 ივნისი 13, ხუთშაბათი № 122

გაზეთი ღირს

თვე	მან. კ.	თვე	მან. კ.
12	10 —	6	6 —
11	9 50	5	5 50
10	8 75	4	4 75
9	8 —	3	3 50
8	7 25	2	2 75
7	6 50	1	1 50

ცალკე ნომერი—ერთი შაური

ივერია

გაზეთის დასაკვეთად და კერძო განცხადებათა დასაბეჭდად უნდა მიჰმართონ: თვითონ რედაქციას, კუკიაში, ავჭალის ქუჩაზედ, ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ, თავ. გრუზინსკისეულს სახლებში; წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების კანცელიარიას, სათავად-აზნაურო ბანკის სახლებში, სასახლის ქუჩაზედ.

ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპეიკი.

1877—1891 საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი 1877—1891

„ივერია“

გამოვა 1891 წელსაც იმავე პროგრამით, როგორც აქამდე.

ვისაც ჰსურს დაიკვეთოს გაზეთი ამ 1891 წლისათვის მიჰმართოს:

ტფილისში: ა) თითონ რედაქციას, ნიკოლოოზის ქუჩაზედ, ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ, თავ. გრუზინსკისეულს სახლებში, № 21; ბ) „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ კანცელარიას, სასახლის ქუჩაზედ, თავად-აზნაურთა საადგილ-მამულო ბანკის ქარვასლის გალერეიაში.

ტფილისის გარედ მცხოვრებთა უნდა დაიბარონ გაზეთი შემდეგის ადრესით:

Тифлисъ. Въ редакцію грузинской газеты „ИВЕРІЯ“.

რედაქცია ამასთანავე აცხადებს, რომ იგი გაზეთის გაგზავნის გამო პასუხის მგებელი იქნება მარტო იმ ხელის-მომწერთა წინაშე, ვინც გაზეთის დაკვეთისათვის შესახვედრს ფულს პირდაპირ რედაქციაში და ან „წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ კანცელარიაში წარმოადგენს, ანუ გამოგზავნის.

გაზეთის ფასი დაბეჭდილია გაზეთის სათაურშივე, ხოლო სრული პირობანი გაზეთის დაკვეთისა გამოცხადებულია უკანასკნელს გვერდზედ.

შაბათს, 15 ივნისს,

გერმანელების ბაღში (წინად მიხეილის ბაღი იყო) გამართული იქნება

ქართულის ხოროს მიერ,

ბ-ნ რატილის ლოტბარობით, მეორე აბონემენტის

კონცერტი

სულ ოთხი განყოფილება იქნება: პირველსა და მეოთხე განყოფ. იმღერებს ხორო, მეორეში—რუსული ვოდევილი, მესამეში—დივერტისმენტი: იმღერებენ: რატილი, ცხომელიძე, ეგოროვი; წაიკითხავს ქართულად ადამიძე.

დაწვრილებით აფიშებში გამოცხადებული. დასაწყისი: 7 საათიდამ პარიზეკის სამუსიკო დასი დაუკრავს, $8^{1}/_{2}$ საათზე დაიწყება კონცერტი.

(2—1)

ვამზადებ ყმაწვილებს გიმნაზიებსა, რეალურს სასწავლებელსა და სამოქალაქო სასწავლებელში შესასვლელად და აგრეთვე იმათაც, ვისაც ხელმეორედ გამოცდა აქვს დანიშნული.

(ადრესი „ივერიის“ რედაქციაში)

ტფილისი, 11 ივნისი

„ივერიის“ მკითხველმა ჩვენზე ნაკლებ არ იცის, რა გზას ადგია ჩვენს ქვეყანაში საერო და სასულიერო სწავლა-განათლება, მოკლებული ეროვნულს ნიშან-წყალს. ამ მხრივ აწინდელი წესი სწავლა-განათლებისა ბევრს სასურველს ცვლილებას მოითხოვს და, რაც უფრო მალე დადგება იგი დრო ცვლილებისა ჩვენის ერის საკეთილოდ და საბედნიეროდ, მით უკეთესია.

ბევრჯელ ყოფილა ლაპარაკი ამ საგანზედ და დღეს ხელმეორედ აღნიშვნა ზემოხსენებულის წესის ნაკლულევანებისა საჭიროდ აღარ მიგვაჩნია. მკითხველს მოვაგონებთ მხოლოდ ბ-ნ ი. გოგებაშვილის სიტყვას, რომელიც იყო წარმოთქმული სათავად-აზნაურო სკოლის საზოგადოების წევრთა წლიურს კრებაზედ და რომელიც ჩვენს გაზეთში ვრცლად იყო დაბეჭდილი. იმ სიტყვაში ნათლად და გარკვევით იყო ნაჩვენები, თუ რა გზას უნდა ადგეს ჩვენში სწავლა-განათლება და რა გვეჭირვება ეხლა ჩვენ ამ მხრივ.

სწავლა-განათლების საქმე მარტო ჩვენში არა ყოფილა ასე მოუწყობელი და შეუფერებელი თვითოეულის ერის განსაკუთრებულის ვითარებისა. ამავე ნაკლულევანებით ყოფილა სავსე ეს საქმე ციმბირშიც, სადაც შესაბამი მწარე ნაყოფიც თურმე მოაქვს. აი რასა სწერს ამ საგნის შესახებ ცნობილი რუსეთის მწერალი ნ. მ. იადრინცევი, განთქმული მრავალის სამეცნიერო ნაღვაწ-ნაშრომით ციმბირის შესახებ. „ეჭვი არ არისო, ამბობს ბ-ნი იანდრინცევი, რომ ციმბირის მკვიდრნი და ღვიძლი შვილნი გადაშენების გზას ადგიან, განსაკუთრებით იქ, სადაც ბედის ტრიალს ისინი და რუსეთის მრეწველნი ერთმანეთისათვის შეუხვედრებია *).

ბევრი იმ აზრისაა, ვითომც ციმბირის მკვიდრს შნო და უნარი არა აქვს, შეითვისოს უმაღლესი კულტურაო. იადრინცევი უარჰყოფს ამ აზრს. „სამწუხაროაო, განაგრძობს იადრინცევი, რომ ჩვენ არ გავწურთნეთ იმათი ნიჭი და უნარი, არ ვავარჯიშეთ, არ მივეცით გზა და მით არ გავამდიდრეთ საზოგადო სალარო კაცობრიობის ნაჭირნახულევისაო. ამის მაგიერ იმათს ნიჭსაც და გონებასაც გზა შევუხუთეთ და საქმე იქამდის მივიყვანეთ, რომ მრავალი სხვა-და-სხვა წვრილმანი ტომი, თუ არ დღევანდელი ვითარება მათის ცხოვრებისა, შეიცვალა ამალე გადაშენდება და იქნება სრულიადაც განჰქრეს მათი სახსენებელი დედამიწის ზურგზედაო.

რა იხსნის ციმბირის მკვიდრს გადაშენებისა და დედამიწის ზურგიდამ აღმოფხვირსაგან? რასაკვირველია, სკოლა, ხოლო იმ ნაირი სკოლა-კი, რომელიც არ დააშორებს სკოლაში გაზრდილს იმ ტომს, რომლის ღვიძლი შვილიც არის, იმ ნაირი სკოლა, რომელიც ხიდს არ ჩასტეხავს ერთისა და იგივე ტომის ნასწავლსა და უსწავლელს შორის. მხოლოდ ამ გვარად ნასწავლს შეუძლიან, სარგებლობა მოუტანოს მშობელს ქვეყანას, თავისს თვის-ტომს, თავისს ერთსისხლს და ერთ-ხორცს ერსა.

„გადაგვარებულნი, გარუსებულნი მკვიდრნიო, ამბობს შემდეგ ზემოდ დასახელებული ჩვენი ავტორი, მაგ. თარჯიმანები აზიურის სკოლებისა, გადამწერელნი და სხვ. ამ გვარ ჯურის კაცნი ყველაზე მეტად მავნებელნი არიან ერის ცხოვრებისაო. ისინი უსინიდისოდ ფცქვნიან ხალხს, მექრთამეობას საშინლად მისდევენ და, რასაკვირველია, არავითარი საკეთილო ზნეობრივი ზედ-მოქმედება არა აქვთ თავიანთს მემამულეებზეო. საჭიროა, რომ ასეთს ქვეყნებში სკოლები იმართებოდეს ძალ-დაუტანებლივ; მასწავლებლებს აწესებდნენ თვით იმ მკვიდრთაგან, რომელთათვისაც სკოლაა დაარსებული. თვით მასწავლებელთ ზედმიწევნით უნდა იცოდნენ თავიანთის ერის ერის ვითარება და გარემოებანი და გულითა და სულით თანაუგრძნობდნენ, უყვარდეთ თვისი მშობელი ტომი და ერი. მხოლოდ ასეთს სკოლას შეუძლიან, შეასრულოს თავისი მაღალი დანიშნულებაო.

„ერთად-ერთი აზრი და სურვილი უნდა ჰქონდეს განათლებასაო, ამბობს იანდრინცევი: განათლებამ უნდა შეაყვაროს მოზარდს თაობას თავისი ერი, მისი ბედი და უბედობა და არ მოსწყვიტოს იგი ოჯახსა, არ დააყენოს გადაბირებისა, სიღატაკისა და უბედურების გზაზედ. სამწუხაროდ, მხოლოდ მცირეოდენს ნაწილს ციმბირის განათლებულ მკვიდრთა შერჩენია კავშირი თავისს ერთან და უღვაწნიათ მის საკეთილდღეოდ. ამათ შორის უნდა დავასახელოთ ბანზაროვი, ბოლდონოვი და დოროქეევი, ბურიატის ტომისანი; ნაკოლაევი, იაკუტი, ვალიხანოვი, ყირგიზელი და კატანოვი. ვალიხანოვმა და ბანზაროვმა უმაღლესი განათლებაც მიიღეს და უკეთეს სწავლულებად ითვლებოდნენ; ევროპაშიც-კი გაითქვეს ამათ სახელი, მაგრამ მათი გული ყოველთვის იმათ უბედურ ერისკენ იყო. სამწუხაროდ, ასეთი მოღვაწენი ძალიან ცოტანი არიან, თუმცა მხოლოდ ამათ შეუძლიანთ, მოუტანონ რაიმე სარგებლობა უბედურს ერს და სხვას არავის. მარტო იმათ შეუძლიანთ ჩაჰბერონ ახალი სული ერსა, განუღვიძონ ცნობისმოყვარეობა, გაუჩინონ წყურვილი შეგნებულ ცხოვრებისა, შეაყვარონ წარსული და აწმყო, და მაშინ უეჭველია, ერი გადარჩება დაღუპვასა და გადაშენებას. ჩვენ მტკიცედ ვართ დარწმუნებულნი, რომ ასეთი განათლება უკვდავების წყაროდ გადიქცევა საარაკოდ გამხდარის სამოედისთვის, დაიხსნის მას სიმშილისაგან და ყოველ გვარ უბედობისაგან. ციმბირელს მკვიდრს არ ეტყობა მხნეობა, ულმობელს ბედს წელში მოუხრია, უილაჯობას და უიმედობას მწარე დაღი დაუსვამს იმისს სახეზე და შეუხუთავს იმისი გული. აღარსადაა არც იმედი მერმისისა და აღარც რწმენა უკეთესის ცხოვრებისა. აი სწორედ ეს იმედი უკეთესის მერმისისა უნდა მისცეს მკვიდრს განათლებამ. როდესაც მკვიდრი დაინახავს, რომ განათლებას ძალ-მომრეობა არ მოსდევს და დარწმუნდება, რომ განათლება-კი არ დაჰღუპავს, არამედ აღადგენს დაცემისაგან, უეჭველია მაშინ სულითა და გულით შეიყვარებს ასეთს განათლებას“.

აი ასეთის თვალით უცქერის ბ-ნი იადრინცევი განათლებას ციმბირის მკვიდრთა შორის. თუ რამდენად სამართლიანია მისი აზრი სწავლა-განათლების შესახებ რუსეთის განაპირა ქვეყნებში, ამას განმარტება აღარ ეჭირვება. ჩვენი სურვილი იყო, დაგვენახვებინა მკითხველისათვის, რომ არა ერთი და ორი მოიპოვება ისეთი მწერალი და სწავლული რუსეთში, რომელიც ისე უცქერის განათლებას, როგორც ჭეშმარიტი მისი ბუნება მოითხოვს.

ა. ფრონელი

---

*) იხ. „Вѣст. Евр.“ № 5.

ახალი ამბავი

⁂ ბ-ნს ილია ჭავჭავაძეს შემდეგი დეპეშა მოუვიდა პეტერბურგიდამ განსვენებულის პროფესორის დავით იესეს-ძის ჩუბინაშვილის ქვრივისა და შვილისაგან: „ქვრივი და შვილი განსვენებულის პროფესორის ჩუბინაშვილისა უმორჩილესად გთხოვთ, გულწრფელი მადლობა უძღვნათ ჩვენ მაგიერ „ქართველთა—შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ მმართველობას იმ გულ-მხურვალე სამძიმრისთვის, რომელიც მივიღეთ მისგან ასეთის ჩვენის ღრმა მწუხარების გამო“.

ჩვენმა რედაქციამაც ასეთისავე მადლობის დეპეშა მიიღო განსვენებულის პროფესორის ქვრივისაგან, რომელიც იწერება: გულითა ვმადლობ გაზ., „ივერიის“ რედაქციას სამძიმრისათვის ჩემის დაუვიწყარისა ძვირფასის ქმრის გარდაცვალების გამოვო.

ასეთისავე შინაარსისაა ის დეპეშაც, რომელიც მოუვიდა საკუთრად ბ-ნს ილია ჭავჭავაძეს მის მიერ ცალკე გაგზავნილის სამძიმრის დეპეშის პასუხად.

⁂ თ. დუნდუკოვ-კარსაკოვმა კავკასიაში მთავარ-მართებლად ყოფნის დროს პროექტი წარუდგინა უმაღლესს მთავრობას შესახებ შავის ზღვის პირების დასახლებისა. ეს პროექტი შარშან განიხილა მინისტრთა კომიტეტმა და ზოგიერთი ადგილი და მუხლი არ მოიწონა და არ შეიწყნარა. ამის გამო ცოტაოდნად შესცვალეს, გაასწორეს და ამ ჟამად სახელმწიფო საბჭოში უნდა წარადგინონ განსახილველადაო, ამბობს „ნოვოე ვრემია“.

⁂ სხვა-და-სხვა სასამართლოებში დიდ-ხანობით ინახება ხოლმე მათ მიერ შეკრებილი კერძო კაცთა ფული. მთავრობას განკარგულება მოუხდენია ეხლა, რომ თუ ათის წლის განმავლობაში არ მოვლენ ამ ფულის მისაღებად, ფული ხაზინას გადაეცესო. ამას შემდეგ თუ ფულის პატრონი გამოჩნდება და სასამართლო თავისის განაჩენით დაამტკიცებს, რომ ნამდვილად ის არის ფულის პატრონი, იმ შემთხვევაში მხოლოდ საფინანსო სამინისტროს ნება დართვით შეიძლება ფულის მიღება, რომელიც მიეცემა პატრონს სახელმწიფოს განსაკუთრებულ თანხისაგან.

⁂ ქალაქს მეტად შემოაკლდა მილის წყალი. არ არის წყალი არა თუ ქუჩების მოსარწყავად,—სასმელადაც-კი: მთელი ავლაბარი უწყლოდ დარჩა. ამისათვის ქალაქის გამგეობამ ნება დართო და ავლაბრის მხრიდამ მდ. მტკვარში ყველა ჩასასვლელი გზა ახსნა, რომ მდინარიდამ თავისუფლად ეზიდონ წყალსა. ამას გარდა, ტფილისის პოლიცმეისტერმა რამდენიმე ბოჩკა ცეცხლის მქრობელ რაზმისა ათხოვა ქალაქს, ქალაქმაც მიუმატა თავისი ბოჩკები და ეს რამდენიმე დღეა ატარებენ ქუჩა-ქუჩა და რწყავენ. ყორღანოვის მილები რომ შეიძინეს, მას აქეთ ამ მილებში წყლის ამომყვანი მანქანა აღარ მუშაობს. დღეს ესეც დაატრიალეს და ვნახოთ, იქნება ღმერთმა ინებოს და რამე საშუალება მოგვცეს, თორემ შენი მტერი, ამისთანა სიცხე-პაპანებაში და მტვერში უწყლოდ ყოფნა!..

⁂ წელს ქუთაისის ვაჟთა გიმნაზიის მერვე კლასში იმყოფებოდა 34 ყმაწვილი. ეგზამენზე არ მისულა ავად-მყოფობის გამო

ორი. ექვსი—ერთი ებრაელი და ხუთი ქართველი—ჩამოარჩინეს და აღარ განაგრძობინეს ეგზამენები. რუსი ყველა ბოლომდე იჭერდა ეგზამენს. დაასრულა ეგზამენი და მიიღო „სიმწიფის ატესტატი„ 26-მა; ამათგან ორი სომეხია, ერთი ბერძენი, ერთი ადერბეჯანელი, ექვსი რუსი და თექვსმეტი—ქართველი. აი ამათი გვარებიც: ლორთქიფანიძე, გეგელაშვილი, მდივანი ნესტ., მდივანი დავ., ქორქაშვილი, ზურაბიძე, დემიდოვი, თოფურიძე, ჯორჯიკია, შენგელია, აბზიანიძე, აბულაძე, თუმანიშვილი, ჯაფარიძე, ჩხენკელი და დეკანოზიშვილი.

*** რკინის გზის სატეხნიკო სასწავლებელში მიღების წესები შეიცვალა. ამ სასწავლებელში მიიღება მხოლოდ რუსის ქვეშევრდომი 14—18 წლისა და ეს ხნოვანობა ნაანგარიშევი იქნება 1-ლ ენკენისათვის. შეგირდებს მიიღებენ განსაკუთრებით პირველს კლასში. თუ რკინის გზის სასწავლებელში მოსწავლე ჯარში გასასვლელს წილს ამოიღებს სამხედრო ბეგარის გადასახდელად და მოისურვებს, რომ ეს ბეგარა სწავლის დამთავრებას შემდეგ გადაიხადოს, ამისათვის დრო მიეცემა: სანამ ოცდა-ოთხის წლისა არ შესრულდება, ჯარში არ წაიყვანენ.

*** გაზეთები სწერენ, რომ სპარსეთის მთავრობამ სურვილი გამოაცხადა, ჩვენს სახელმწიფოში რუსეთიდამ დევნილს ებრაელებს დაასახლებთო. ამის გამო სპარსეთისა და რუსეთის მთავრობას მოლაპარაკება აქვს.

*** კვირას, 9 ივნისს, სომეხთა „დრამატიულმა საზოგადოებამ“ ვანქის საკრებულო ტაძარში პანაშვიდი გადაუხადა ახლად გარდაცვალებულს სომეხთ არტისტს პ. ადამიანს. წირვის შემდეგ, 11 საათზე, დაიწყო პანაშვიდი და დიდ-ძალი ხალხი დაესწრო. აქა-იქ ქართველი ინტელიგენციაც ირეოდა ხალხში, მხოლოდ ერთი წარმომადგენელიც ვერ ვნახეთ არც ქართულის სცენისა და არც ქართულ „დრამატიულ საზოგადოებისა“.

პანაშვიდს შემდეგ წარმოითქვა ლექსი და მიცვალებულის მოსახსენებელი სიტყვა. ლექსი წაიკითხა ახალგაზდა მომღერალმა ბ-ნმა ამირჯანიანცმა, სიტყვები სთქვეს სომეხთ არტისტებმა ბბ-ნთ არშ. არუთინიანცმა და ვრუირმა. ბ-ნი ვრუირი კარგი ნაცნობი ყოფილა განსვენებულის ადამიანისა: იმასთან ერთად ჩამოსულა სტამბოლიდამ სომხურს სცენაზედ სამოღვაწეოდ და მას აქეთ აქ, ტფილისში, დარჩენილა და, რაც ძალა შესწევს, ემსახურება თავისს საქმეს. თავისს სიტყვაში ბ-ნი ვრუირი შეეხო ადამიანის დიდს მნიშვნელობას სცენისათვის და აღნიშნა, რომ მეტად დიდი დანაკლისია სომხებისათვის ადამიანის გარდაცვალება ამ ჟამად, როდესაც ყველაზედ უფრო საჭირო იყო მისი მოღვაწეობა სამშობლო სცენისათვისაო.

„მეფეს სცენისას, შემქნელს ლირისა, ჰამლეტის და ოტელოს სახისასაო—სთქვა სხვათა შორის ბ-ნმა ვრუირმა თავისს სიტყვაში—თუ დღემდე ვერ აფასებდენ, მომავალში აუგებენ ძეგლს დიდებისასაო“.

ხალხი ნაშუადღევს წავიდა ეკკლესიიდამ.

*** თელავის „ქართულ სიმღერების მოყვარეთა“ დასმა შესწირა „წერა-კითხვის საზოგადოებას“ 27 მ. რისთვისაც გამგეობა ამ საზოგადოებისა უგულითადესს მადლობას უძღვნის ხსენებულს დასს.

◆◆

ნამცეც-ქუცმაცი

—

„ბანკიადამ“ თქვენი ჭირი წაიღო, წინამძღოლ-წინამძღვარი ამოვირჩიეთ და... მოვისვენეთ, თუ მოსვენება შეუძლიან ხორც-სხმულსა და ყოველთვის მოუსვენარ-დაუდეგარს ადამიანს. აღარა გვაწუხებს-რა, მაგრამ მაინც რა ეშმაკი და ქაჯი მოგვასვენებდა, ბანკის გირავნობის ფურცლების კონვერსიას რომ ბუნების ტაროსის კონვერსია არ მოჰყოლოდა: სიცივე სიცხემ შესცვალა, თოვლ-ჭყაპი—პაპანაქება მზემ, თბილი ქურქი—თითქმის ადამისებურმა სამოსმა, ანუ, უკეთ რომ ვსთქვათ, შეუმოსაობამ, აგიზგიზებული ბუხარი — ყინულწყალმა. ტფილისი ეხლა შამფურზედ აგებულ დიდ სუკის ნაჭრად გადაქცეულა და იწვის, იხრაკება, იტრუსება ისე, რომ ცვარიც აღარა სდის; საითაც უნდა მიბრუნდეს, გვერდები მზისაგანა აქვს გახურებულ-გაკოცონებული. ისე ცხელა, რომ კვერცხის დედამიწაზედ დაცემა და მისი ერბოკვერცხად მოწვა ერთია; ტფილისელები ჰირისაგან დარეტიანებულ ქათმებსავით დაბარბაცებენ და მთელი დღე ყინულ-წყლით იგრილებენ თავპირს...

ასეთს სიცხეს რაღა პილპილის მოყრა უნდა და ამიტომ კარგი იქნებოდა, რომ სულ ერთიანად აღკრძალონ ყოველისავე ცხელისა და ცხარეს წარმოება-კეთება: ნახშირი აღარ უნდა გააღვიონ, თოფი აღარ ისროლონ, წუმწუმა არ გაჰკრან, კვესი არ დააკვესონ, ცხარე სიტყვები არ წარმოსთქვან, არ გაალმასდნენ, ჭიჭინაზედ არ გასქდნენ, გულზედ არ მოვიდნენ და ხელი ხელსაც-კი არ გაუხახუნონ; სამაგიეროდ, ყველას ნება ეძლევა უქაროდ ქარი ააყენოს, ყინულზედ გაცურდეს და სხვებიც გააცუროს, დოსაც-კი შეუბეროს, რომ იქნება ნიავი დაიძრას როგორმე და პატა გააგრილოს ეს ამოდენა დასიცხულ-დაოფლ-ხვირთქლებული ხალხი, ტყუილის რუმბები ჰბეროს და სცალოს, დიდი გულცივობა და გულ-გრილობა გამოიჩინოს ყოველსავე საქვეყნო თუ კერძო საქმეში, მტერსაც ცივად დახვდეს-გაეპასუხოს და მოყვარესაც...

ასე უნდა იყოს, თუ სამართალია ქვეყნად, მაგრამ სამართალი რომ იყოს, ხომ არც ასეთი ცხარე და მწვავე მზის გული იქნება, ასე უდიერად არ დაგვჩაგრავს ეს ზემოდგან ქოჩორზედ დამცქერი ცეცხლის ბურთი, რომელსაც უდიერობისათვის ვერც სამართალში უჩივლებ და ვერც ვირისაბანოში ამოაყოფინებ თავს. ქვეყანა მაინც ერთმანეთის ჩაგვრისა და უდიერობის ჯაჭვია, დიდი პატარასა სჩაგრავს, პატარა—თავისზედ უმცროსს, ის კიდევ—თავისს დასაბრიყვებელს, და ამიტომ ქეიფსა და ზემში ის არის, ვინც კიბის ზემო საფეხურ-თაროზეა წამოჯგიმებული. რა გაეწყობა, უნდა მოვითმინოთ და თავი იმითი ვინუგეშოთ, რამ არა უშავს-რა, მზევ, კიდევ გნახავ, კოლოები გეხვეოდნენ, მჯობს მჯობი ხომ არ დაელევა, კიდევ გნახავ ისე გამონელებულ-დამცხრალს, რომ ბუზის დასველებულ ფრთების შეშრობაც-კი ვერ შეგეძლოსო. ამითი უნდა მოვიოხოთ გული, უბედურებაში ხომ გულის მოსაოხებელსა და თავის მოსანუგეშებელს ადვილად გამოსძებნის ხოლმე ადამიანი...

განა უბედურება არ არის, თქვენს მზეს, რომ ამ იუნკრების·მოედანზედ მთელის ტფილისის გუბერნიისა და ჩრდილო-კავკასიის სოფლის მასწავლებლები შეყრილან და ისეც ცხელს დღეს უფრო აცხუნებენ: თოფები დაუჭერიათ და რაღაც გიმნასტიკასა სწავლობენ? სასიამოვნოა იმათი ჩამოსვლა, ვინ ამბობს, ბედნიერი იყოს იმათი ფეხი, ისწავლონ მეფუტკრეობა, მეაბრეშუმეობა, ბაღოსნობა, სწავლა ნათელია და უსწავლელი სხვას რას ასწავლის, მაგრამ, თქვე დალოცვილებო, ამ სიცხე-პაპანაქებაში რაღა თოფის ცხელი ტყვია გვინდა. მართალია, გიმნასტიკაც საცოდნელია, მაგრამ თოფები გაგიშვერიათ, სამხედრო გიმნასტიკა უნდა ვისწავლოთო, რა მინდაო, რომელ ყარსის ციხეს უპირებთ აღებას?! თქვენს ლხენას, ან რაში გამოადგება თოფი სოფლის მასწავლებელს, ყაჩაღებს ხომ არ უნდა სდიოს? იმისი ვალი ის არის, რომ ყმაწვილებს გონება გაუნათლოს, წერა-კითხვის ცოდნა შესძინოს, იმათ დასტრიალებდეს, იმათ ევლებოდეს თავს. ეხლა-კი ყოველი მასწავლებელი ამოიჩრის თითო თოფს ხელში და სოფელში კრუხ-წიწილას რაღა დააყენებს: გამოვა კლასიდგან, გაიშვერს თოფს, დაუმიზნებს, ჩახმახს ჩამოჰკრავს და იქვე გააგორებს, ერთის მაგიერ, სამ-ოთხ ინდაურის ჭუკს! იმათი ნებაა, ჩვენ ამ სამხედრო ხელოვნების წინააღმდეგი არა გვაქვს-რა, მეტადრე თუ ბავშვებს მამა-პაპური სული შთაბერეს და გარეგან ვარჯიშობასთან გულიც შესაფერად აუძგერეს და აუტოკეს, მამა-პაპური გრძნობა ჩაუნერგეს და ოთოთაანთ ქორებად არ გადააქციეს, იმ ქორებად, რომელთაც მარტო შინაურ ჭუკ-წიწილას გაწყვეტა ემარჯვებათ; ამისთანა ღვთის წყალობასთან სიცხესაც-კი რისხვად არ ჩავსთვლიდით, მაგრამ გულსა სწამს და გონებას არა სჯერა და კიდეც ამიტომ ვჩივით, რომ უიმედობის იმედს ნუ გვიფრთოვანებენ და ცეცხლ-წაკიდებულთ წყალს ნუ გვისხმენ ზედ, ამ გახურებულს ჰაერს უფრო მეტად ნუ გვიცხუნებენ...

ამ ჩვენიანების უბედურება - უსამართლობას უცხოელების ჩვენდა ჭირად მოვლენილი უსამართლობაც ზედ დაერთო. სწორედ ამ სიცხე-პაპანაქებაში მოუნდა წუმწუმის ქარხნის გამართვა ვიღაც მ. გ. კარლია თავის ამხანაგებითურთ და მისიანივე ძმანი გოლდლუსტები. ჯოჯოხეთს ერთი მუგუზალი აკლდა და ისიც მიუმატესო, რომ იტყვიან, სწორედ ეს წუმწუმის ქარხანაა. რიგიანი იყოს მაინც; ამ სიმხურვალეში, როცა ყველაფერს თავის და თავად ეკიდება ცეცხლი, კარლის წუმწუმა თხუთმეტი უნდა გაჰკრათ, რომ ერთი აანთოთ. ამ წუმწუმაში ფასს იმდენსავე გახდევინებენ, რასაც სხვაში, და ღირსებითაც მდარეა, ისე მდარე, რომ როგორც პანტა გულაბ მსხალს არ შეედრება, ისე ის რუსეთიდგან მოტანილს, თუნდა, სუბოტინის, წუმწუმას, რადგან არც კანი უვარგა და არც გული, თუმცა აჭრელებულია-კი წუმწუმის ჩხირები. ეხლა, ამ სიცხეში რომ ასე ემართება ამ „კარლ-კამპანიის“ წუმწუმას, წარმოგვიდგენია, იანვრის სიცივე-ყინვებში რა დაემართება, ვგონებ მთელს ყუთში ერთმაც-კი არ გამოსცეს ნაპერწკალი, რაც უნდა უხახუნოთ. წარმოგვიდგენიაო, რომ ვამბობთ, იმიტომ ვამბობთ, რომ დარწმუნებულნი ვართ, ზამთრამდე ვერ გაატანს და ამასაც ისე მოეღება უდროოდ, მაგრამ სამართლიანად-კი, ბოლო, როგორც მოეღო ამ ორის წლის წინად ტფილისშივე გამართულს ტერასატურიანის წუმწუმის ქარხანას...

კმარა, ვსდუმებთ, წუმწუმისა, თოფისა და მზის სიმხურვალემ ერთად მოიყარა თავი და ისეთი სიცხეა, რომ ყინულსაც-კი ორთქლი სდის, შუშის სამელნეს ხომ შიგ მელანში ჩაადნა პირი და კალამს კიდევ წვერის ცალი ღერი მოადნა, დაებლაგვა, აღარა სწერს...

დუშიკო

◆◆

საისტორიო და საბიბლიოგრაფიო წერილები:

(წერილი ლბ)

მოთხრობა ქცევათა და ჩვეულებათათვის ქართველთა, ფანასკერტელ ციციანოვისა.

(დასასრული. იხ. „ივერია“ № 121)

ქორწილის დღეს შეიკრიბებოდნენ ნათესავნი, მოყვასნი და მეზობელნი. მდედრთა საცმელი იყო: ლეჩაქი ზედმოვლებულის ფოჩითა, რომელთამე ოქრომკედისა, რომელთამე ჭიჭნაურისა, ლეჩაქს ქვეშე სარაღუჯი, ძვირფას სპეკალთა და ლართაგან ქმნილი. კავთა ანუ თმათა ზედა მხვილნი სხვა თმისაგან ნაქმარნი კავნი, ჭავლად ხმობილნი. შუბლთა ზედა თავსაკრავი ზოგთა მარგალიტით ნაკერნი. ქინძისთავი მარგარიტისა. საყბეური მარგარიტისა. კელსაბამი ძვირფასთა სპეკალთა და ოქროთაგან ქმნილი. საყუ-

---

ფელეტონი

—

გუთნის დედის სიმღერა.

მიწავ, შენა გხნავ ისევა,
შეიშრე წვიმა ოფლისა!..
დალოცვილია ღვთისგანაც
ძე დალოცვილი მშობლისა.
მაინც ხომ შენი საზდოა,
სისხლი და ხორციც ყოვლისა.
მიწავ, შენა გხნავ, სწორედა,
გუთანს ვერ ვანდობ რიყესა.
სახნისს გამიტეხს, საკვეთელს,
განაძძებს ლვილებსა;
იქ დათესილი თესლიცა
გააქვს ყოვ-ყორნებს ბრიყვებსა.
მიწავ, შენა გხნავ, მარტო შენ,
ვებ გაგავლო კვალია,
გაკეთებულის საქმითა
მეც გამილაღდეს თვალია.
რაც უნდ დავთესო შენს მკერდზე
ასლი, წმინდა, თუ ქერია,
ცოტა მამივა მაინცა,
თუ არ მოვიდა ბევრია.
რისაც თესლს განდობ, ის მოგყავს
თავის სარგებლით ხშირითა
და გამოსდიხარ ჩემთანა
მუდამ ნათელის პირითა.
ღმერთმა მაშოროს სხვაგან ხვნა:
წმინდას სთესს—მოდის ღვარძლია;
იმის მარგლვამ და წმენდამ
მეც გამასუსტა, გამლია!

ვაჟა-ფშაველა

სხვათა შორის

არავისთვის, რასაკვირველია, ახალი ამბავი არ არის, რომ ჩვენი ხალხი მეურნე ხალხია, რომელიც უმეტეს ნაწილად ხვნა-თესვასა და ვაზის გაშენებას მისდევს. ქართველს კაცს ვაზის მოვლასა და ლოლიაობაში ამოსდის სული; ჯეჯილის სიყვარულსა და ტრფიალებაში უთენ-უღამდება. ორი სხვა-და-სხვა სოფლის კაცი რომ ერთმანეთს შეხვდება, სალამის შემდეგ პირველად მოსავლის შესახებ ჩამოუვარდებათ ლაპარაკი. დაკვირვებული კაცი ყოველსავე იმას, რაც-კი მოსავლის შესახებ უნდა შეიტყოს, ჩვენი გლეხის სახეზე ამოიკითხავს. თუ ჯეჯილს კარგი პირი უჩანს, ჩვენს გლეხსაც პირი უღიმის სიხარულისაგან; თუ ვაზს კარგად ასხია, ჩვენი კაციც კარგს გუნებაზეა. ხოლო თუ ჯეჯილიცა და ვაზიც ორივე კარგს მდგომარეობაშია და კაი მოსავლის იმედს იძლევა, მაშინ ხომ, რაღა თქმა უნდა, ჩვენი გლეხიც წელში გამართული და გამოცოცხლებულია.

სულ წინააღმდეგსა ვხედავთ, როცა ჯეჯილსა და ვაზს რომელსამე უკუღმართს წელიწადში რაიმე უბედურება გამოუტყვრება: მაშინ ჩვენი გლეხი თავ-ჩაქინდრული და დაღონებულია. იმის ფიქრსა და გონებაშია, თუ რა იღონოს და რა ისახსროს ამ უბედურს წელიწადში, რომ ცოლ-შვილი ულუკმა-პუროდ არ გაუწყდეს და სხვა და სხვა ანგარიში დაუკმაყოფილებელი არ დარჩეს...

ვსთქვათ, კარგი წელიწადი დადგა, გლეხის ოფლმა მუქთად არ ჩაიარა. ზურმუხტის ფერად ამწვანებული ჯეჯილი საამურად ღაღანებს. კოპწია პატარ-ძალსავით გაფურჩქნულ-გალამაზებულს ვენახში ღვთის თვალი ტრიალებს... გლეხის სიხარულს საზღვარი არა აქვს, რადგან იმისი შრომა და ჯაფა ღირსეულს სასყიდელს ელის. ის ტკბილს ფიქრსა და ოცნებაშია გართული: ამდენი და ამდენი კოდი, ამდენი და ამდენი კოკა სახლში მომინდება, ამდენი ხელმწიფეს, ამდენი მღვდელს, ამდენი მტერ-მოყვარეს, ამდენსაც გავყიდი, ან სახლ-კარს მივუმატებ რასმე, ან ადგილ-მამულს შევიძენო.

ერთიც ვნახოთ, როცა გლეხი ასეთს სასიამოვნო ანგარიშშია გართული და ჯერ კიდევ შემოუსვლელს პურსა და ღვინოს ანაწილებს, უცებ ცამ წარბი შეიკრა, ცივმა ქარმა დაუბერა, ლეგა ღრუბლები ერთმანეთში აირია და ჭექა-ქუხილი ასტყდა... მხვნელ-მთესველის სულსა და გულშიაც ამ დროს ჭექა-ქუხილი და ქარიშხალია და უფრო ძლიერი, ვიდრე ცაში. ყოველ გაელვების დროს სასოებით იწერს პირჯვარს და ევედრება შემოქმედს, რომ ჩემი მარჯვენის მონაღვაწევი ჭირნახული სეტყვისაგან დაიფარეო... ხუმრობა ხომ არ არის? ახლა რომ სეტყვა მოვიდეს, ხომ ყოველივე იმედი გაუცუდდა და გაუქარწყლდა. არა, ღმერთი როგორ გამოიმეტებს აგრე მის მიერ გაჩენილს ადამიანსაო,—ჰფიქრობს გლეხი და

რენი მარგარიტისა და თვლისანი. პერანგი ზოგთა წითელი, ზოგთა ყვითელი გრძელნი ფერხთამდე, გულთა ზედან მოვლებულის გრეხილითა, რომელი იყო მრავალ გვარი: მარგარიტისა, მძივისა, ხავერდისა, ნაქსოვ ოქრომკედის ანუ ჰიჰნაურისა და შეკრული ძვირფასის ერთის ღილითა. მასთანავე ქინძისთავი თვლითა და მარგარიტით მოოჭვილი. ახალუხი ლარისა, ყურთმაჯ გადაჭრილი, რომლისაგან ჰსჩანდა პერანგი იღლიადგანვე იდაყვამდე. კაბა ძვირფასის ლარისა გრძელი ფეხთამდე, წინვალთა გახსნილი. მაჯათა ზედა ესხათ ხრიკები, ზოგთა თვლისა, ზოგთა ოქროისა და ზოგთა ვერცხლისა, ხოლო მდაბიოთა სპილენძისანი. სარტყელი დიბისა ანუ შალისა, წვერებ ჩაშვებული. ფერხთა ზედან წუღა სამოგვისა: თაოსანთა ქალთა ალისფერი, ხოლო ქვრივთა და მოხუცთა შავი, მაშია და ქოში. გულსა ზედან პრტყელი ჯაჭვი ოქროისა და ზოგთა მარგარიტისა. ხოლო ზემოდამ ტოლომა ანუ ტყავი, ძვირფასის ლარისა, ბეწვიანი. ხელთა ზედან ბეჭედნი ძვირფასთა თვალთანი. ყმაწვილთა-ქალთა თავსა ზედა ეხურათ ყამჩი, მარგალიტით ნაკერი და თვლითა. პერანგთა ზედან ჩამოსავლებ მარგარიტისა და თვლებით ასხმულნი. ყელ ჩამოხსნილი ლეჩაქ მოუხვევლად, არამედ ეხურათ მხოლოდ თავსა ზედა და ზურგზედ გარდაფენილი.

საშუალსა ადგილსა იდგა ტახტი, მასზედ, ეშალა ნოხი, ზემორე მისსა ქეჩა, ამასზე, ნაკერი ოქრომკედისა ანუ ფერადისაგან, მაუდსა, ატლასსა, ან თეთრსა ნარმასა ზედა სუზანი. ზურგით კერძო იდვა დორი ხავერდსა ზედა ნაკერი ოქრომკედითა, გინა სირმითა ანუ ძვირფასის ლარისა. ამას ზედან იჯდა სასძლო, მოსილი შვენიერის სამოსლითა მითვე გვარითა, ვითარცა ზემორე მოვიხსენენით. მას ეხურა თავზედა ლეჩაქი გარდაშლილი, ხოლო ზემორე მისსა იალქანი, მსგავსი სპარსთა სამეფო გვირგვინისა, ძვირფასნი ჯიღანი მასზედან დამაგრებულნი, წმინდა ოქროჲსა და თვალთაგან. იალქანი იგი იყო ქმნილი თვალთა და მარგალიტთა, რომელსა ზედა ეკოწლნეს სამნი ღილანი ძვირფასის თვლისა და მარგარიტისანი. პირსა ზედან ეხურათ პირბადე. სასძლოჲს ტახტისათანა სდგა მდადე და მონათესავესაგან ჰაბუკი ერთი-მაყარი. აჲიერ და იმიერ ტახტისა ბანოანნი სხდნენ ძოროთულნი.

მაშინ სასიძოცა შთაიცვამდა ძვირფასსა სამოსელსა: პერანგსა ჰიჰნაურისასა, პერანგის ამხანაგსა ჰინჰაურისავე. წვივთა ზედა პაიჭსა. ფერხთა ზედან წინდასა აბრაშუმისასა, ყელსა ზედან დასხმულის ოქროისა ანუ მინანქრისაგან გაკეთებულის ღილებითა. ზემორე მისსა სანდალთა, ანუ ქოშთა და მაშიათა, ახალუხსა ლარისასა ყურთმაჯ გახსნილსა და თეძოთა ზედან ჩაქ შეჭრილსა. კაბასა ძვირფასის ლარისასა, ქობა მოვლებულსა, ყურთმაჯიანსა, მოკლე სახლებით. სარტყელსა შალისა, გინა ფარჩისასა. ზემოდან მოკლესა ჩასაცმელსა ვიდრე თეძოთამდე, მოკლე სახლებით. ქუდსა გრძელის ყალამით, რომლისა წვერი შთამოშვებულ იყო მხრებამდე უკანით. და შეირტყამდა წელსა ზედა კრმალსა.

ესრეთ მოსილნი ძველნი დიდებულნი ქართველნი წარმოემართებოდნენ, წინა ძღომითა მგალობელთათა, რომელნი ჰგალობდნენ მაყრულსა, ქებასა სიძისასა ანუ სალმთოსა, ამიერ და იმიერ მისდევდნენ მაყრები და მრავალნი დარბაზის ერნი.

მოვიდის ესე ვითარის წესით სიძე სახლსა სძლისასა, შევიდის და დაჯდის ტახტსა მარჯვნით სძლისა მცირესა ჟამსა. მოვიდის მამაი ანუ ნათესავთაგანი, გამოუღის ხელი სძალსა და შთაუდვის კელსა სიძისასა. შედგომად აღსდგინ. დაუპყრის სიძემან კელი სძალსა დ წინაძღომითა მგალობელთათა წარვიდიან ჯვარის დასაწერად.

ჯვრის დაწერის შემდეგ მიიქცევიან სძლისას. მოეგების მათ სიდედრი ანუ რომელიმე მახლობელი ნათესავი, მპყრობელი კელთა შინა ვერცხლის თასისა, რომელს ზედან მდებარებს ორი ნატეხი შაქარი. მიულოცის ქორწილი და აჭამის სიძესა და შემდგომად სძალსა. მიიყვანიან და დასხდიან პირველისაებრ. ორთა მონათა მოიღიან ლარის სახვევსა და მას ზედან დასდგმიან ლანკანსა ვეცხლისასა, ამიერ და იმიერ მომდრეკელნი მუხლთანი. მაშინ აღსდგის დედა ქალისა, ლანკანსა ზედა გარდააგდის ვეცხლსა და მიმლოცველი ეტყვის: „ღმერთმან შეგაბეროსთ სიყვარულით და შვილიერებით“, და დაჯდის ადგილსა თვისსა. სხვა დედანიცა და მამაკაცნიც ეგრეთვე მიულოცვენ.

ოდეს დასრულდება მილოცვა იგი, მონანი აღდგებიან, წარიღიან ლანკანი და გაიყვიან ვერცხლსა.

შემდგომად იწყებდნენ ლხინსა და განცხრომასა და იქმნებოდის პურობა დიდი და სუხვე სანოვაგეთა, სმა დაჯაბრებით ჰაბუკთაგან ღვინისა, სიცილი, ხუმრობა.

ოდეს მოიწეოდა ჟამი ძილისა და განსვენებისა, მაშინ წარიყვანიან საკუთარსა განმზადებულსა სახლსა სძალი იგი და სიძეცა. სიძე იგი განუხსნის ხრიკთა მაჯისათა, განჰხდის წუღათა სძალსა და გარდაიგდის მხარსა ზედა თვისსა და თვითცა, გამძარცველი სამოსლისა, შთაიწვენს საგებელსა ცოლსა თვისსა და ესრეთ განისვენიან. გარნა ვიდრემდის არა მისცის საჩუქარი, არა ესაუბრებოდა ცოლი ქმარსა.

როსტომის მეფის დროს ქცევანი ესე მრავლად შეიცვალნეს. მით ჟამითგან იწყეს სპარსთაებრ სამოსლის მოსა, ქუდსა ზედა დახვევა შალისა, სახლისა მორთვა, წვერის დაყენება, საკრავნი, უპიროება, ტყუილი, მრუშება, მეძაობა, მამათ მავლობა და ყოველი არა წმიდება, ასე რომ თვით მღვდელთ-მთავარნიც მისდევდნენ ესე ვითარსა უწესოებასა. ასრე იყო მეფე თეიმურაზ მე-II-მდე და ერეკლე მეორემდე. ამათ სრულიად მოსპეს ქართველთა შორის ესე ვითარნი უსჯულოებანი. თუ სადმე ცხადად იხილვიდნენ, მისცემდნენ ფიცხელსა სასჯელსა და შეურაცხყოფასა.

შემდეგ ავტორი მოკლედ აღწერს ქართველთა შექცევასა, ნადირობასა, ომ-ბრძოლის წესსა, პასექისა და ახალწლის დღესასწაულსა. აქ უფრო საყურადღებოა ავტორის ცნობა შესახებ აღდგომის კვერცხისა. მისის აზრით: „ესე კვერცხი ნიშნავს სახესა ქვეყნისასა, გინა სფერასა: სიმეწამულე ფერისა აბელის სისხლითა ძმისა მისისა კაენისაგან დათხეულით შეღებასა, ხოლო ურთიერთის კვეთებით შემუსრვა, დროსა ქრისტეს აღდგომისასა კლდეთა შემუსრვასა და ძვრასა ქვეყნისასა“.

ახალწლის დღესა გათენებამდე ზე აღდგის მეკვლე, შევიდის ცალკე სახლად, სადაც იდგის ლანკნითა განმზადებული ალვახაზი, აღიღის ხატი ღვთიშობლისა და სანთელი ალვახაზითურთ, შევიდის სახლად და იტყოდის: „შემოვდგი ფერხი, გწყალობდეს ღმერთი, ფერხი ჩემი, კვალი ანგელოსისა“ და მიულოცის დღესასწაული და მისცის ჭამად თაფლი ანუ შაქარი, მეტყველმან: „ესრეთცა სიტკბოებით მიგაგებოს ღმერთმან წელიწადსა ამას და სიტკბოებით ჰყოს სიბერეცა შენი“ და უამბორიან ურთიერთარს.

მეფეს მიულოცდის გათენებისასვე ყოველნი დიდებულნი. მეფე დაჯდის ტახტსა ზედა და მის წინ იარაღის მტვირთველნი ანუ ჯაბადარნი დასდებიან ფიცარსა და თვით დასდგებიან იმიერ და ამიერ. რაჟამს შევიდის დიდებულთაგანი, წარდგის მეფის წინაშე მიმლოცველი ესრეთ: „შენს მტერსაცა განეწონის გულსა ტყვია ესე“, და დაჰკრის ფიცარსა მას, და დაცემულსა მას ტყვიასა ჯაბადარნი აღიღიან; ხოლო მეფე უბრძანებდა თაფლისაგან ზავებულ სანოვაგის მიღებასა და მირთმევასა.

მოკლედ მოთხრობილია აგრეთვე სისხლის დაურვების წესები და შემთხვევანი. შემდეგ ავტორი ამბობს, რომ ყველა ეს წეს-ჩვეულებანი არსებობდნენ 1800 წლამდეო. ამ წლიდგან მოვიდნენ მრავალნი უცხო თესლნი და დაეშენნენ საქართველოსა. მაშინ ქართველთ დაივიწყეს თავის ქცევანი და ყოველივეში წაჰბაძეს უცხოელთა. მოიძულეს ბუნებითნი ჩვეულებანი და თვით ენა და უბნობა თვისნი ესრეთ, რომელ გარდა მოხუცთა, უკეთუ რომელიმე ქართველი უბნობს ქართველსა თანა, მაშინ ათთა ქართველთა ლექსთა შორის იტყვის ოთხსა რუსულად. ქართული წიგნი ენის დავიწყებისა გამო „ეგონებისა უცხოს ქვეყნისა“, განირყვნენ ძველნი ზნენი და შემოხდნენ: უპიროება, ღვთის უშიშროება, სიძულილი, მტერობა, ამპარტავნება, მაბეზღარობა, ურცხვინოება, ფიცხელი მოქრთამეობა, ამაო მეტყველება, ხდომა, ლალვა, ტაცება, ანგაარება, ცრუ ფიცი და სხვ. ამას გარდა დამდაბლდენ დიდებულნი და ამაღლდენ მდაბიონი. პირველთა მათ საქართველოს წარჩინებულთა გვარისაგანთა მისცნეს თავნი თვისნი დამდაბლებასა და სიგლახაკესა, ესრეთ რომელ უკეთუ რომელნიმე მონებათა მათთა ქვეშე ყოფილნი და აწინდელსა ჟამსა განდიდებულნი აღირსებენ ერთსა მცირედსა სიტყვისა თქმასა, ამით უკვე რაცხენ ბედნიერად თავთა თვისთა.

შემდეგ ავტორი ახალის დროის მწერლებზე ამბობს: „ახალთა მწერალთა განრყვნეს ენაჲ ქართული სხვა და სხვა შერევნილებითა, დამკარგველთა გვართა ღრამატიკისათა და პოეზიურის წესისაცა“. ასე რომ წარმკითხველნი აწინდელთა მწერალთა ნაწერებისა „სიმართლით იტყვიან: არიანა აწინდელნი ქართველნი შესაბამნი წინაპართა მათთანი?!“ „როსსის მმართველობა მწადინოჲ არს განამრავლოს ჩვენს ქვეყანაში სწავლა და არცა მცირედ მოსურნე არს მოსპოლვად ქართველთა ენა-ჩვეულებათა და მარადის სასოებს, რათამცა საქართველო ეგოს სჯულსა და ჩვეულებასა თვისსა. გარნა ვაი ჩვენდა, რომ თვით ჩვენ მოვიძულეთ ენაცა და მამულიცა ჩვენი... აწ შესაბრალისნი ქართველნი ცდილობენ ვითამცა ენისა გაახლებასა, გარნა ამითი უმეტეს შეურაცხჰყოფენ თავთა თვისთა და გამოაჩინებენ თვისთა უვიცობასა და ქართულის ენის უცოდინრობასა“.

დასასრულ ავტორი სასოწარკვეთილებას ეძლევა და გულის სიღრმიდგან აღმოსთქვამს: „მშვიდობით ძველო ქართულო ენავ, და მშვიდობით სრულად საქართველოს მდგომარეობაო: აწ ჩვენ ვართ კალონისტები და არა თუ მკვიდრნი საქართველოსანი. ესე საკმაო არს შენდა წარმკითხველო, უკეთუ გულის ხმა-ჰყავ.

ესომ

რუსეთი

საერო განათლების სამინისტრომ დიდი ყურადღება მიაქცია ბესარაბიას. უკვე შედგენილია პროექტი რამდენისამე სხვა და სხვა სასწავლებლის დაარსებისა ამ მხარეში. სამინისტრო თითონა კისრულობს ამ სასწავლებელთათვის შენობების აგებას და აგრეთვე მათს მოწყობასაც წიგნებითა და საჭირო სასწავლო ნივთებითაც. პირველ ხანად სულ თოთხმეტი სამაგალითო სასწავლებელი უნდა დაარსდეს, რომელიც მომავალ 1 სექტემბრისათვის უკვე მზად იქნება.

— რომ უფრო უკეთესად და ჯეროვანად იყვნენ მომზადებულნი სამხედრო ფერშლები, სამხედრო უწყებამ გარდასწყვიტა, გაადიდოს პროგრამმა საფერშლო სასწავლებლებისა ისე, რომ მათი კურსი და პროგრამმა კლასიკურ გიმნაზიის ექვსის კლასის კურსსა და პროგრამმას უდრიდეს. ამასთანავე საფერშლო სკოლებში ერთ-ერთს ახალს ენასაც ასწავლიან.

— პეტერბურგიდგან აუწყებენ ერთს მოსკოვის გაზეთს, რომ ერთი ნაწილი საქალაქო დებულებისა უკვე დაამტკიცეს სახელმწიფო ეკონომიისა და სახელმწიფო საბჭოს კანონების

იმედს არ ჰკარგავს, მაგრამ აი წვიმა კოკიპირულად წამოვიდა... და წვიმას სეტყვა მოჰყვა... დასეტყვა ჯეჯილი, დასეტყვა ვენახი და, რასაკვირველია, იმათთან ერთად გლეხის იმედი და სასოებაც დაისეტყვა.

ზარალი და დასაკლისი ყოველგან და ყოველთვის გულის დამწყვეტია, მაგრამ ამ შემთხვევაში მით უმეტეს. გლეხის მარჯვენის მონაგარი განადგურდა და გლეხი-კი გულ-ხელ დაკრეფილი იყო და ისე შესცქეროდა თავისს უბედურობას. კალია რომ მიჰსეოდა იმისს ნათესს, ხელს გაანძრევდა, რამდენსამე გაჟლეტდა; ცეცხლი წაჰკიდებოდა, წყალს დაასხამდა და თუ ვერაფერს უშველიდა, თავს მაინც ინუგეშებდა, რომ ჩემი საცდელი არ დამიკლია და მადლობა ღმერთსო. ახლა სულ სხვაა. ახლა გლეხი ამ ნუგეშსაც მოკლებულია და ამ ნაირად ორგვარი ცეცხლი ეკიდება გულში: ისე როგორ გამომეცალა ხელიდამ სარჩო-საბადელი, რომ ხელი ვერ გავანძრიეო...

—ეგ ყველაფერი კარგიო,—მეტყვის ბრაზ-მოსული მკითხველი,-მაგრამ ერთი ეს გვითხარი, რაში გვეჭირვებოდა ეს წილა-დობილა, განა შენ თუ არა სთქვი, ისე-კი არ ვიცით, რომ ჩვენში სეტყვა იშვიათი ამბავი არ არის და დიდს ზარალსაც შვრებაო?

არა, ბატონო, იმდენად უგუნური არა ვარ, რომ ეს შეგწამოთ. მე მხოლოდ იმის თქმა მწადია, რომ სეტყვა დიდი უბედურებაა ჩვენის ქვეყნისათვის და დიდმა უბედურებამ დიდად უნდა აგვატკიოს თავი. ჩვენ-კი თავის შეტკივება იშვიათად ვიცით და ისიც მაშინ, როცა საქმეს ვერაფერს ვუშველით. გავიგონებთ, რომ ესა და ეს სოფელი დასეტყვილა და ულუკმა-პუროდ დარჩენილაო, და მოვყვებით ერთს ტირილ-გოდებას იმის გამო, თუ რად გარისხდა ზეცა ისე საშინლად, რომ სეტყვა მოგვივლინა. ამას იქით ჩვენი გულ-შემატკივრობა ამ საქვეყნო უბედურებაში ჯერ არ წასულა. ეს კიდევ, ვსთქვათ, მოგვეტევება. მოგვეტევება, რომ ზეცით მოვლენილს უბედურების წინააღმდეგ ვერაფერი ღონე ვიღონოთ. მაგრამ ის-კი აღარ არის მისატევებელი, რომ ისეთი საშუალება, რომელიც თუ სრულიად ვერ დაგვიხსნის ამ უბედურებისაგან, სანახევროდ ხომ მაინც შეგვიმცირებს და შეგვიღავათებს ამ უბედურებისაგან წარმომდგარს შიშსა და ზარალსა, არ გამოვიყენოთ. მე მოგახსენებთ ეგრედ წოდებულს „სეტყვისაგან ნათესისა და ვენახის დამზღვეველ საზოგადოების“ არსებობის შესახებ. ამ საზოგადოებამ თავის არსებობა, სხვათა შორის, „ივერიის“ საშუალებითაც აუწყა ქვეყანას. (იხ. „ივერია“ №№ 37 და 41) მაგრამ არავის ფიქრადაც არ მოსვლია, დაწვრილებით გაეგო ამ საზოგადოების ავ-კარგი, გაეგო რამდენად სანდო და სარწმუნო იქნებოდა იქ ნათესისა და ვენახის დაზღვევა და ყოველივე ეს ჩვენ მეურნეთა საყურადღებოდ გამოექვეყნებინა. ჩემის აზრით, მეურნეთა საყურადღებო ცნობისა და შენიშვნის ბეჭდვა „მეურნის“ პირდაპირს მოვალეობას უნდა შეადგენდეს. მაგრამ სხვასაც არ უწყენდა ღმერთი, რომ ამ საგანზე ხმა ამოეღო. ნუ თუ მოგვეტევება, რომ ეს ფრიად საყურადღებო საგანი ესე უყურადღებოდ მივატოვოთ მაშინ, როდესაც დადგება თუ არა გაზაფხული, ჩვენის ქვეყნის სხვა და სხვა კუთხიდამ სულ იმას შემოგვტირიან და შემოგვჩივიან, რომ დავისეტყვეთ და გავნადგურდით, თორემ ჯეჯილსაც კარგი პირი უჩნდა და ვენახშიაც ღვთის თვალი ტრიალებდაო. მაგ., ამ ხანად ასეთი ამბავი „ივერიაში“ წევიდამ იყო დაბეჭდილი და ამაზე წინად კიდევ კახეთიდამ. მე ვფიქრობ და ვგონებ, შემცდარიც არ ვიყო, რომ თუ ვისმესთვის საჭიროა ეგ „სეტყვისაგან ნათესის და ვენახის დამზღვეველი საზოგადოება“, ყველაზე უპირველესად ჩვენთვისაა საჭირო. ამიტომაც დიდი დანაშაულობა და შეცდომა იქნება ჩვენთვის, რომ ამ ამბავზე ყური მოვიყრუოთ. თუ-კი სახლებს ვაზღვევებთ ცეცხლისაგან, რატომ ნათესი და ვენახი არ უნდა დავაზღვევოთ სეტყვისაგან! ცეცხლის წინააღმდეგ წყალი მაინც მოგვეპოვება, ხოლო სეტყვის წინააღმდეგ არავითარი საშუალება და სახსარი არ გაგვაჩნია.

ლ. წ—ძე

დეპარტამენტებმაო. სრულად განხილვა და დამტკიცება-კი გადაიდო სახელმწიფო საბჭოს მომავალის სესსიისათვის, რადგან ამ სესსიაზე დრო აღარ დაურჩათ. ამის გამოც გარდასწყვიტეს, მომავალს სესსიაზე პირველად საქალაქო დებულების პროექტი განვიხილოთო, რადგან 1892 წლიდგან, განზრახვა აქვთ, შემოიღონ კიდეც ხსენებული დებულება.

— პეტროკოვსკის გუბერნიაში ერთი პატარა ახალშენია, სადაც ამას წინად შემდეგი საზარელი ამბავი მოხდა. ამ ახალშენში სცხოვრობდა შეძლებული გლეხი ქვრივი კუხარსკი, რომელსაც სახლში ერთი თავისი გასათხოვარი ცქრიალა ქალი და მეორეც მოახლე ჰყავდა. მოხუცს კუხარსკის ძლიერ უყვარდა თავისი ქალი და ელოდდა, აი მალე გადავიხდი ქორწილსაო. მთხოვნელი და თაყვანის მცემელიც ძლიერ ბევრი ჰყავდა იმისს მშვენიერს ასულს. ამ დღეებში კუხარსკი რამდენისამე საათით სადღაც გავიდა და შინ ქალი და მოსამსახურე-ღა დასტოვა. იხელთა ეს დრო ერთმა მეზობელმა გლეხმა, შევიდა კუხარსკისას და დაუწყო ქალებს თხოვნა, ან თქვენის ხელით მომეცით ფულები, ან არა და მაჩვენეთ, სადა გაქვთ შენახული, თორემ, თუ უარზე დადგებით, ორსავეს აქვე დაგხოცავთო. ქალები შესტიროდნენ და ეუბნებოდნენ, არა გვაქვს ფული და არც ის ვიცით, შენახულია სადმე რამ თუ არაო. როცა მუქარით ვერა გააწყო-რა, დაუპატიჟებელმა სტუმარმა ამოიძრო დამალული დანა, წააქცია ორივე ქალი და ყელები გამოაღადრა. თითონ გადასჩხრიკა სახლი და 8 მანეთზე მეტი ვერა იპოვნა-რა. ამას შემდეგ ავაზაკი ქალაქს რავაში გაიქცა, მაგრამ მალე შეიპყრეს და დააპატიმრეს.

წერილი რედაქციის მიმართ

გიგზავნით რა ჩვენ მიერ შეკრებილს მცირეოდენ ფულს (16 მანეთს და 20 კაპ.), უმორჩილესად გთხოვთ, მოახმაროთ ეს ფული იმ პატიოსანსა და სასარგებლო საქმეს, რომელზედაც ჩამოვარდა ლაპარაკი ამ უკანასკნელს დღეებში, თქვენის გაზეთის ივერიის და საზოგადოების მხრივ—ე. ი. თ. ნიკოლოოზ ბარათაშვილის გვამის გადმოსვენებას განჯიდგან ტფილისს. იმედია, მხარს დაგვიჭერენ კიდევ სხვანიც და შემწეობას აღმოუჩენენ შეძლებისა დაგვარად ამ კეთილსა და სასარგებლო საქმეს.

აქვე მომყავს სია შემომწირველთა: ნიკო სოლომონის-ძე ზალ-დასტანოვი 1 მ., ბლაღოჩინი მღვდელი კანდელაკი 1 მ., ვარდენ ნანეიშვილი 1 მ., ალექსანდრე ხოფერია 1 მ., ბექან ლევანის-ძე ჩაჩავა 1 მ., ვასილ ლორთქიფანიძე 1 მ., საშა ორპირელი 1 მ., აპოლლონ გოდერძიშვილი 1 მ., კოსტა ბექანის ძე ვაჩეიშვილი 50 კ., ბესარიონ ტიმოთეს ძე კაკაბაძე 50 კ., ბუჭა ხუნდაძე 50 კ., მიხეილ კოპაძე 50 კ., იოსებ ღოღობერიძე 50 კ., როსტომ ტარიელის ძე ჩაჩავა 50 კ., გიორგი ალექსანდრეს ძე გედევანოვი 50 კ., ეფრემ ხუნდაძე 50 კ., ბესარიონ ჟვანია 50 კ., პორფირე ლაზარეს ძე მეძმარიაშვილი 50 კ., გიგო ჰოჭუა 50 კ., კონსტანტინე მკურნალი 50 კ., მელქისედეკ ჯაში 40 კ., დიმიტრი ივანეს ძე ბახია 40 კ., მალაქია ვახტანგის ძე ასათიანი 20 კ., კოსტა ტაბლაძე 20 კ., ამბაკო ქართველიშვილი 1 მ., სულ 16 მანეთი და 20 კ.

აპოლონ გოდერძიშვილი და
ნიკო ზალდასტანოვი

დეპეშა

12 ივნისს

პეტერბურგი. დაწესებულ იქმნა დიდის მთავრის მიხეილ მიხეილის ძისა და იმის ქონებისათვის მზრუნველობა, რომელიც ჩაჰბარდა დიდს მთავრებს მიხეილ ნიკოლოზის ძეს და გიორგი მიხეილის ძეს.

ბლაღოვეშჩენსკი. ქალაქის თავმა მიიღო 10 ივნისს პაკროვკიდამ გუბერნატორ გენერალ-მაიორ ბენევსკისაგან შემდეგის შინაარსის დეპეშა: „მემკვიდრე ცესარევიჩმა, როცა დასტოვა ამურის მხარე, მოწყალებითა მიბრძანა მადლობა გადავცე ბლაღოვეშჩენსკის მკვიდრთ ყოველ იმ სიამოვნებისათვის, რომელიც ამ ქალაქში მისმა უმაღლესობამ ჰნახა. ბედნიერი ვარ, რომ ამას გაუწყებთ. თქვენ მიერ ნათხოვნი სურათი ქალაქის საბჭოსათვის, მისმა უმაღლესობამ ინება და დამპირდა პეტერბურგიდამ გამოგიგზავნითო.

პეტერბურგის ბირჟა, 11 ივნისი.

	მყიდველისა.	გამყიდველისა.	გაყიდულისა.
	მან. კ.	მან. კ.	მან. კ.
ხუთ-მანათიანი ოქრო .	— ,,	— ,,	6 78
ტამოჟნის კუპონები ,	137	$137^{3}/_{4}$	— ,,
მანეთიანი ვერცხლის ფული	1, 04	1, 05	— ,,
$5^{0}/_{0}$ პირველის შინაგანის სესხის მომგები ბილეთი	— ,,	— ,,	$244^{1}/_{2}$
—მეორისა	— ,,	— ,,	$224^{1}/_{2}$
—მესამისა	— ,,	— ,,	— ,,
სახელმწიფო თავად-აზნაურთაის ბანკის ფურცელი, . , , ,	212	— ,,	— ,,
გირავნობის ფურცელნი ტფილისის ბანკისა .	— ,,	— ,,	— ,,
ქუთაისის ბანკისა . .	— ,,	— ,,	— ,,
ტფილისის საურთიერთო ნდობის საზოგადოებისა	— ,,	— ,,	— ,,

იმოსვლა ცეცხლის გემებისა შავს ზღვაზე

ბათუმიდამ გადის: ხუთშაბათობით, ნაშუადღევის 4 საათზე მოკლე გზით და ნოვოროსიისკსა და კერჩში შეივლის.

შაბათობით საღამოს 8 საათზე შორის გზით (ყველა ნავთ-სადგურში შეივლის).

კვირაობით, საღამოთი, საზღვარ-გარეთ, სტამბოლამდე მიდის.

ბათუმში მოდის ოდესიდამ: სამშაბათობით შუა-ღამეს, შორის გზით.

პარასკეობით, დილით-ოდესიდამ მოკლეს გზით (კერჩსა და ნოვოროსიისკში შეივლის).

შაბათობით, დილით, სტამბოლიდამ.

ფოთიდამ ბათუმში მოდის სამშაბათობით—იმის შემდეგ, როცა სოხუმიდამ მოდის გემი შორის გზით. ხუთშაბათობით—დილის 9 საათზე და მიასწრობს მოკლეს გზით მოსიარულე კავკასიისა და ყირიმის გემსა.

შაბათობით, დილის 9 საათზე, და მიასწრობს შორის გზით მოსიარულე კავკასია-ყიზირიმისა და რუმელია ანატოლიისკენ წამსვლელ გემებს.

ბათუმიდამ ფოთს მიდის პარასკეობითა და კვირაობით. რაკი გემი მოვა ფოთიდამ, ბათუმის სააგენტო გადასწყვეტს ხოლმე, როდის წავა უკან.

ამის გარდა ყოველ-კვირა ფოთში მოდიან ოდესიდამ და ყირიმ-კავკასიის ნავთ-სადგურებიდან გადაწყვეტილს ვადაზე გემები.

განცხადებანი

ქ. სიღნაღში ახლად გაიმართა
წიგნის მაღაზია
ალექსანდრე მაჭავარიანისა და ამხანაგობისა
იქვე იღებენ ყდის კეთების საქმეს ლუკა მოსულიშვილის სახლებში.
ისყიდება აგრეთვე კანცელარიის ხელსაწყო.
(19—77—1)

ქართველთა ამხანაგობის წიგნების მაღაზიაში
ისყიდება შემდეგი ახალი წიგნები:

	მ.	კ.
პატიოსანი ადამიანი	„	5
ლენტის მსგავსნი ჰიები ი. თ.	„	5
მეფე დავით აღმაშენებელი, ისტორიული დრამა თ. ალექსანდრე ჯამბაკურ-ორბელიანისა	„	40
უკინასკნელი დღე სიკვდილით დასასჯელისა, ვიქტორ ჰიუგოსი, ფრანგულით თარგ. თ. სახოკიასი.	„	30
სამნი ბრძენნი, ილ. ოკონთელისა.	„	20
ძმური სიტყვა. დ. მაჩხანელისა	„	25
იქავე ისყიდება-**თორნიკე ერისთავი**, ისტორიული პოემა აკაკისა	1	„

„წერა-კითხვის საზოგადოების“
წიგნის მაღაზიამ
მიიღო გასასყიდად ახალი წიგნები

	მან.	კაპ.
უკანასკნელი დღე სიკვდილით დასჯილისა, ვიქტორ ჰიუგოსი. თარგ. თ. სახოკიასი	„	30
ხალხური ლექსები, შეკრებილი ალნიაშვილის მიერ.	„	30
ლექსები ნ. ბარათაშვილისა. ახალი გამოცემა.	„	30
რამდემიმე ლექსი ცახელისა.	„	15
თხზულებანი გ. ერისთავისა, მშვენიერს ყდაში ავტორის სურათით	2	„
ქართულ-რუსული ლექსიკონი დ. ჩუბინაშვილისა სამივე ნაწილი	8	„
ქართული ლექსიკონი, შედგენილი საბა-სულხან ორბელიანისაგან	3	„

საგალანტერიო მაღაზია
ჰ. ი. ზროდსკისა
გადავიდა შუა-ბაზარში, კათოლიკეთა ქუჩის კუთხეზედ, სადაც წინად მერაბოვის ლამპის მაღაზია იყო.
(20—72—10)

ტფილ. გამოფენა.

ვარცხლისა



ოქროსი

ა ღ ა ლ ო თ უ თ ა ე ვ ი ს
ზეთიანის კრასკების ქარხანა იარმუკაზედ,
ტფილისში:

ვიღებ ქ. ტფილისში და საქართველოს რკინის გზის სტანციების ორის ვერსის სიახლოვეზედ სახლების აშენებას, აგრეთვე სახლების შეკეთებას (ремонтъ) და შეღებვას (полная окраска домовъ). ვყიდი ფაბრიკის ფასით საზღვარ-გარეთიდამ მოსულს ლიტო-ტიპოგრაფიის ხუდოჟნიკის და ფაეტონების წასასმელს ყველანაირ ფერის კრასკებს: ალიფს, ლაქს, გუმირაბიკს, მასას ბრონძს და ყველა ამათ მოწყობილების იარაღს.

ვამზადებ ჩემს კრასკის ქარხანაში, ყოველ ნაირ ზეთით გალესილს კრასკებს. ვპირდები ყველას, რომ ყოველი ჩემ მიერ გაკეთებული საქმე და ჩემგან ნასყიდი კრასკები იქნება უტყუარი და საქმე პირობისამებრ ჩაბარებული.

ვაძლევ სანდო ადგილებში საქმის სიმკვიდრისთვის ერთის წლიდამ სამ წლამდე ზალოგს.

კრასკები შეიძლება დაიბარონ სხვა ქვეყნებში ოცი პროცენტის ბეის გამოგზავნით, დანარჩენს ფასს გარდაიხდიან დანიშნულს ადგილზედ საქონლის მიღების დროს (наложеннымъ платежомъ).

ჩემი ადრესი: въ Тифлисъ заводъ масляныхъ красокъ на кузнецкой улицѣ (ярмарка) или собственномъ домѣ Абасабадская площадъ Агало А. Тутаеву. (15—75—4)

საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი
„ივერია“
1891 წ. 1-ს იანვრიდამ გამოდის ყოველ-დღე გარდა იმ დღეებისა, რომელნიც ზედ მოსდევენ კვირა-უქმეებს.

12 თვით	10 მ.—კ.	6 თვით	6 მ.—კ.
11 ,,	9 ,, 50,,	5 ,,	5 ,, 25,,
10 ,,	8 ,, 75,,	4 ,,	4 ,, 70,,
9 ,,	8 ,, —,,	3 ,,	3 ,, 50,,
8 ,,	7 ,, 25,,	2 ,,	2 ,, 75,,
7 ,,	6 ,, 50,,	1 ,,	1 ,, 50,,

საზღვარ-გარეთ დაბარებული ეღირება 17 მან. მთელის წლით. სოფლის მასწავლებელთ „ივერია“ მთელის წლით დაეთმობათ 8 მან. ტფილისის გარედ მცხოვრებთ უნდა დაიბარონ გაზეთი შემდეგის ადრესით:
Тифлисъ. Въ редакцію грузинской газеты „ИВЕРІЯ“.

თუ ტფილისში დაკვეთილი გაზეთი ტფილისს გარეშე ადრესზედ შესცვალა ვინმე, უნდა წარმოადგინოს რედაქციაში ერთი მანათი; სხვა ყოველის ადრესის შეცვლაზე—40 კაპ.

თუ თვის განმავლობაში დაიკვეთა ვინმემ გაზეთი არა მთელის წლით, იმას მხოლოდ შემდეგის თვის პირველ დღიდგან გაეგზავნება. განცხადება მიიღება გაზეთის რედაქციაში.

ფასი განცხადების დაბეჭდვისათვის:

ა) მეოთხე გვერდზედ თითო ჯერ სტრიქონი 8 კაპ., პირველზე—16 კაპ. ბ) სრული უკანასკნელი გვერდი 30 მანათი, ხოლო პირველი გვერდი—60 მანათი. რიცხვი სტრიქონებისა გამოიანგარიშება იმის კვალობაზე, რამდენს ადგილსაც დაიჭერს 25 ასო გაზეთის ტექსტისა.

ხელ-ნაწერი და საგაზეთოდ დანიშნული წერილები კორესპონდენციები, რედაქციის სახელობაზედ უნდა გამოიგზავნოს. მიღებული ხელ-ნაწერები, ან საგაზეთო წერილები, თუ საჭიროება მოითხოვს, ან შემოკლებულ, ან შესწორებულ იქმნება. არ-დასაბეჭდს ხელ-ნაწერებს, თუ ერთის თვის განმავლობაში პატრონებმა არ მოიკითხეს, მერე რედაქციას ველარ მოსთხოვენ.

არა-გვარს მიწერ-მოწერას არ-დასაბეჭდთა ხელ-ნაწერებისა და წერილების შესახებ რედაქცია არა ჰკისრულობს.

პირდაპირ მოლაპარაკებისათვის რედაქცია თავისუფალი იქნება ყოველ-დღე, კვირა-უქმეებს გარდა, პირველ საათიდგან სამ საათამდე და საღამოობით 7-დგან 8 საათამდე.

რედაქცია იმყოფება: კუკიაში, ნიკოლოოზის ქუჩაზე, თავ. გრუზინსკისეულს სახლებში, № 21.

Дозв. ценз. Тифлисъ, 12-го Іюня 1891 г. სტამბა მ. შარაძისა, ნიკოლოოზის ქუჩაზე, თავ. გრუზინსკისეულს სახლებში № 21 რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე